№ ზ-ს/ე 902-18

"14" 05 2018 წ.

დადგენილება №000065
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

14.05.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 11 მაისის №000065 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს** (საიდენტიფიკაციო №205195457, დირ მეირ აშერი კოზლოვსკი (პირადი №0-2661757-1, 11308425, №01092002136, ისრაელი), მის: ქ. თბილისი, კუტუზოვის ქ. №18, ბ. №5) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №75, საკ. კოდი №01.18.06.018.057-ში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს მიერ განხორციელდა სკოლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3122134 AR1475003 07.03.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: მოწყობილია მიწისქვედა სართული, კერძოდ, მოჭრილია მიწა, დასხმულია მონოლითური ფენილი, საპროექტო შენობის პერიმეტრზე ამოყვანილია კაპიტალური კედლები და მოწყობილია კოლონები.

2018 წლის 11 მაისს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000065 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01181301859-17 10.05.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს მიერ განხორციელდა სკოლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №75, საკ. კოდი №01.18.06.018.057-ში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს მიერ განხორციელდა სკოლის მშენებლობა ქ. თბილისის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3122134 AR1475003 07.03.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: მოწყობილია მიწისქვეშა სართული, კერძოდ, მოჭრილია მიწა, დასხმულია მონოლითური ფენილი, საპროექტო შენობის პერიმეტრზე ამოყვანილია კაპიტალური კედლები და მოწყობილია კოლონები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით.

დავადგინე:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე მ. ჯაყელი

№ 4-4/3901-18

"14" 05 2018 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-118/18
(მშენებლობის შეჩერების შესახებ)

14.05.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს** (საიდენტიფიკაციო №205195457, დირ. მეირ აშერი კოზლოვსკი (პირადი №0-2661757-1, 11308425, №01092002136, ისრაელი), მის: ქ. თბილისი, კუტუზოვის ქ. №18, ბ. №5) მიერ, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №75, საკ. კოდი №01.18.06.018.057-ში მიმდინარე სკოლის მშენებლობის შეჩერების საკითხი და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №75, საკ. კოდი №01.18.06.018.057-ში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს მიერ მიმდინარეობს სკოლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3122134 AR1475003 07.03.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით (მოწყობილია მიწისქვედა სართული, კერძოდ, მოჭრილია მიწა, დასხმულია მონოლითური ფენილი, საპროექტო შენობის პერიმეტრზე ამოყვანილია კაპიტალური კედლები და მოწყობილია კოლონები).

საქმეშია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის 10.05.2018წ. მოხსენებითი ბარათი; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, „თუ მშენებარე ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორება შეუძლებელია მშენებლობის შეჩერების გარეშე, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების თაობაზე".

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-12 ნაწილით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ",

დაჯადგინა:

1. შეჩერებულ იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ორ ავნერ და ჰანა"-ს მიერ ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №75, საკ. კოდი №01.18.06.018.057-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3122134 AR1475003 07.03.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე სკოლის მშენებლობა;

2. დადგენილება ძალაშია მშენებლობის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრამდე;

3. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 51-ე მუხლის „ა" ნაწილის შესაბამისად, მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე

მ. ჯაყელი

საგადახდო დავალება
Payment Order

1526309783 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 14/05/2018

გადამხდელი / Sender

ააიპ 'ორ ავნერ და ჰანა', 205195457

რეფერენსი / Ref. Num.

2044661391

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE03TB7770336020100005

თანხა / Amount

15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *ააიპ 'ორ ავნერ და ჰანა', 205195457*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 205195457

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

14/05/2018

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება ნო 000065

ელექტრონულად დამტკიცებულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.